უარის მიუღებლობა ჩაითვლება „აბონენტის“ აქცეპტად და წინამდებარე „ხელშეკრულება“ გაგრძელდება ახალი (შეცვლილი) პირობებით.

9.3. წინამდებარე "ხელშეკრულება" რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.4. ამ "ხელშეკრულებასთან", ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება "მხარეებს" შორის მოლაპარაკების გზით.

9.5. იმ შემთხვევაში, თუ "ხელშეკრულებასთან", ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული დავის ან უთანხმოების გადაწყვეტა ვერ მოხდება "მხარეებს" შორის ამგვარი დავის ან უთანხმოების წარმოშობიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში, "მხარეები" კანონით დადგენილი წესით მიმართავენ სასამართლოს.

## 10. საერთო პირობები

10.1. „მომსახურების“ გაწევა ხორციელდება სადემარკაციო წერტილამდე (ანუ იმ ვირტუალურ წერტილამდე, სადაც ხდება მხარეთა პასუხისმგებლობის გამიჯვნა).

10.2. „კომპანია“ არ არის პასუხისმგებელი აბონენტის მიერ ქსელში გადაცემულ ინფორმაციაზე; მომსახურების ხარისხზე, თუ ხარვეზი გამოწვეულია „აბონენტის“ ლოკალური ქსელის გაუმართაობით; ვირუსული პრობლემებით ან/და თუ „აბონენტის“ სუბიექტური მოლოდინი და მოთხოვნა აღემატება „ხელშეკრულებით“ განსაზღვრულ „მომსახურების“ ხარისხსა და მახასიათებლებს.

10.3. „აბონენტი“ აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის მისი რეკვიზიტები, სწორია.

10.4. აბონენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ გაცნობილია და ეთანხმება კომპანიის მომსახურების წესსა და ტარიფებს;

10.5. აბონენტი თანხმობას აცხადებს მის მიერ მითითებული პერსონალური მონაცემები შეყვანილ იქნას კომპანიის მონაცემთა ბაზაში;

10.6. თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული შესაბამისი „მომსახურების“ დანართით, ამ ხელშეკრულებით აბონენტი ყიდულობს „მომსახურებას“ და მას საკუთრებაში არ გადაეცემა რაიმე ტექნიკური მოწყობილობა ან/და ნივთი, მათ შორის, ნუმერაციის რესურსი (ტელეფონის ნომერი), რომლის სარგებლობის უფლების მინიჭებაც ხდება აბონენტისთვის;

10.7. ახალი ან გაფართოებული მომსახურების გაწევის შესახებ აბონენტსა და კომპანიას შორის იდება დამატებითი ხელშეკრულება.

10.8. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

10.9. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად და გადაეცემათ მხარეებს.

**კომპანია: ს.ს. "სილქნეტი**
მისამართი: თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. N: 95
საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978
ბანკი: "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: 2200101502
საანგარიშსწორებო ანგარიში N: 878415000

კორპორატიული გაყიდვების მენეჯერი

ვაჟა ქუმსიაშვილი

---

კომპანია: სსიპ წინანდლის საჯარო სკოლა
მისამართი:ქ თელავი სოფ. წინანდალი
საიდენტიფიკაციო კოდი: 231263619
ბანკი:სს კორსტანდარტ ბანკი
ბანკის კოდი: 220101945
საანგარიშსწორებო ანგარიში N:GE54KS0000001400043913

დირექტორი

სახელი გვარი
ნინო ორკოდაშვილი